

პირის ღრუს ინფექციური დაავადებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებში

ავტორი:მარიამ გოგლიჩიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერება
და ხელოვნების, სოციალური მუშაობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: სოციალური მუშაობა

სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი

სოციალური სამუშაო, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ გოგლიჩიძე

მ.გოგლიჩიძე

10.07.2020

აბსტრაქტი

აღნიშნულ კვლევაში განხილულია საქართველოში, პირის ღრუს ინფექციურ დაავადებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებში.

ამ თემასთან დაკავშირებით სრულყოფილი მასალა და კვლევები არ არის წარმოდგენილი, ეს კი მთავარი ხელის შემშლელი ფაქტორია საკითხის შესწავლის პროცესში.

მეტი ინფორმატიულობისთვის, რათა საზოგადოებამ შეძლოს ნაშრომის სწორად გაანალიზება და განხილვა, გამოვიყენეთ თეორიული და პრაქტიკული კვლევები, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით მოიპოვება, საქართველოსა და უცხოეთის მაგალითებზე დაყრდნობით.

კვლევაში განხილულია მთელი რიგი საკითხები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტომატოლოგიურ მომსახურებაზე. რამდენად არის სახელმწიფო ჩართული პროგრამებისა და სერვისების გაუმჯობესებაში.

კვლევაში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია შშმ. პირის სოციალურ, ეკონომიკურ თუ ფიზიკურ ფაქტორზე, რომელიც ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად აღიქმება, განხორციელებული შედეგები ცხადყოფს, რომ აუცილებელია ინდივიდუალურ საჭიროებებს სათანადო და მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცეს, რათა სახელმწიფოს მხრიდან შეიქმნას შშმ. პირთათვის მორგებული, ორიენტირებული სერვისები.

პრაქტიკული კვლევები ცხადყოფს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან მუშაობა სტომატოლოგიურ კლინიკებში გარკვეული სახის ბარიერებთანაა დაკავშირებული. კვლევის მიზანია, განისაზღვროს რამდენად პროფესიონალურად მიმდინარეობს ინდივიდუალური საჭიროების მქონე შშმ. პირის მომსახურება და მკურნალობა მიმართვიანობის შემთხვევაში.

მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ და კონკრეტულად ჯანდაცვის სისტემამ, დაინახოს პრობლემის მნიშვნელობა და აქტუალობა, ეს კი საშუალებას მოგვცემს შეიცვალოს პრაქტიკა, რომ მხოლოდ დიაგნოზზე დაყრდნობით არ გაეწიოს დაფინანსება ბენეფიციარს, მოხდეს დაკვირვება, გამოკითხვა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინება.

კვლევის მიზანია, საზოგადოებამ და სახელმწიფომ, გაამახვილოს ყურადღება შშმ. პირთა სტომატოლოგიურ პრობლემის მნიშვნელობაზე. კვლევის ფარგლებში იკვეთება აუცილებლობა, გადამზადდნენ შესაბამისი პროგრამის საფუძველზე, სტომატოლოგიურ კლინიკებში მომუშავე ექიმები, რათა შეძლონ ინდივიდუალური საჭიროების მქონე პირებს გაუწიონ შესაბამისი მომსახურება. ამისთვის კი მნიშვნელოვანია სახელმწიფომ შეიმუშაოს გარკვეული სერვისები და მეთოდები.

საკვანძო ტერმინებია: პირის ღრუს დავადებები, სახელმწიფო პროგრამები, ინდივიდუალური საჭიროებები, სტომატოლოგიური მომსახურება და გამოწვევები.

Abstract

This study discusses the infectious oral diseases among the people with disabilities in Georgia.

Full material and studies on this topic are not presented, this is the main obstacle in the process of studying the issue.

For more information, so that the public can properly analyze and discuss the document, we used for theoretical and practical researches on the subject, on the example of Georgia and abroad.

The study discusses a number of issues relating to the dental services for the people with disabilities. As far as the state is involved in the improvement of programs and services. The focus of the study is on persons with disabilities. On the social, economic or physical factor of a person, [The focus of the study is the social and economical factors of the persons with disabilities ,] which is perceived as one of the important problems. The implemented results show that due and important attention should be paid to individual needs in order for the state to create services aimed at people with disabilities.

Practical researches show that working with people with disabilities is associated with certain types of barriers in dental clinics. The purpose of the study is to determine how professionally the services and treatment of a disabled person with individual needs are provided in case of referral.

It is important that the state, and in particular the healthcare system, understand the importance and urgency of the problem, this will allow us to change the practice so that the beneficiary does not receive funding solely on the basis of diagnosis, observe, examine and take into account the individual needs of people with disabilities.

The purpose of the study is to draw the attention of the public and the state to the importance of the dental problem of people with disabilities. As part of the study, it is necessary to undergo training on the basis of the appropriate program, doctors working in dental clinics in

order to be able to provide appropriate services to individuals with individual needs. For this, it is important that the state develops certain services and methods.

Key terms: diseases of the oral cavity,/ oral diseases the state of the program, the state programs. Individual needs, dental services and problems./challenges.

მადლობა

მადლობას ვუხდის საკვლევი თემის ხელმძღვანელს, - ქალბატონ შორენა სამაგლიშვილს, რომელმაც სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში მნიშვნელოვანი და საჭირო რჩევები მომცა, აქტიურად ადევნებდა თვალს სამაგისტრო ნაშრომს და მაძლევდა კონკრეტულ მითითებებს კვლევის სწორად წარსამართად.

ასევე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო სტომატოლოგთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტს ბატონ ზურაბ ალხანიშვილს, რომელმაც გამიწია მნიშვნელოვანი დახმარება.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ, მარიამ კორკოტაძეს გაწეული დახმარებისთვის. ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და მათ მშობლებს და მზრუნველებს, ასევე სტომატოლოგიურ დაწესებულებაში პრაქტიკოს სპეციალისტებს, კვლევის პროცესისათვის მნიშვნელოვანი და საინტერესო ინფორმაციის მოწოდებისთვის.